ოთხშაბათი 1919 წ. მაისის 7 № 97

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი 1919 წ. მაისის 7 № 97

ფასი 1 მან. და 50 კ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებულება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

დამწუხრებული ანასტასია ზურაბის ასული, ნიკოლოზ ივანეს ძე და [illegible] დავითის ძე კეზელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქმრის, [illegible] ძმის წოლის და უკანასკნელი დაუვიწყარ ძმის

## გიორგი დავითის-ძის კეზელისა

[illegible] მოკლულ სამსახურის ასრულების დროს თიანეთის მაზრაში 2 მაისს. დაკრძალვა ქ. დუშეთში. ოთხშაბათს 7 მაისს. საგვარეულო [illegible].

ღრმა მწუხარებით [illegible] აცნობებენ [illegible] გარდაცვალებას

## მარგალიტა მაქსიმეს ასულის ჩხატარაიშვილის

გარდაცვალებიდან გარდახდილ იქნება [illegible] 10 მაისს [illegible].

(1—2355 1)

გულდამწუხრებული მეუღლე [illegible] ასული დუმბაძისა, [illegible] ნათესავთ და ნაცნობთ ვერაგულად მოკლულის დეკანოზის

## დ ა ვ ი თ   დ უ მ ბ ა ძ ი ს

გადახდილი წლის თავზე წირვა და პანაშვიდი 10 მაისს ს. შემოქმედის წმიდა გიორგის ეკლესიაში

1—2350—1

მოიჯარადრე საზოგადოების „**დაჩმარეზის**" გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთა, რომ წევრთა

## საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, მაისის 18-ს, დილის სწორედ 11 საათზედ, სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრების წეს-რიგი: 1) 1918 წ. ანგარიში და მოგების განაწილება: 2) 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და 3) მორიგი საქმეები. მოსაწვევი ბარათები არავის გაეგზავნება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კრება 18 მაისს არ შესდგა, მეორე კრება გაიმართება 25 მაისს, საღამოს 7 საათზედ, იმავე შენობაში, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. ანგარიში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ ყველა წევრს შეუძლიან საზოგადოების კონტორაში წინასწარვე გაეცნოს საზოგადოების საქმეებს. **გამგეობა.**

(2—2358—2)

## მოიკითხეთ ყველგან

**კოოპერატიული ნაწარმოები „ქიზიყის" ქარხნის**

საუკეთესო გემოვნების **პაპიროსი** საუკეთესო გემოვნების

„**ამირანი**", „**ალაზანი**", „**კახეთი**", თუთუნი „**ეთერი**", „**გემო**" და სხვა.

ყიდვა შეიძლება ბითუმად და წვრილად აგრეთვე დაკვეთაც. მისამართი: თბილისი კიროჩნის ქუჩა № 21 მაღაზია ღიაა დილით 8 საათ. 2 ს.-დე და საღამოს 4 საათ. 7 ს.-დინ.

**შ. მ. ნადირაშვილი.** 2—2349—2

## რესტორანი

## ედემი

(ვ ე რ ა ზ ე დ)

## იყიდება თავის აფეჯილობით

შეიძლება იჯარითაც გაიცეს. პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ოლღის ქუჩა № 81, 3—6 საათამდე.

2 2346 2

## ქალაქ ქუთაისში

ალექსანდროვის და პუშკინის ქუჩის კუთხე (ცენტრში)

## ქირავდება ბაღი

## „ე ლ ი დ ი"

**საზაფხულო ბუფეტით პავილიონით და**

მთელი მოწყობილობით

პირობების გაგება შეიძლება წერილობით ქალაქ ხონში ჩხიკვიშვილთან და პირადათ ქალაქ ქუთაისში სასტუმრო „გრანდ ოტელში".

6—2356—2

## ახლად მოწყობილი სტამბა

## „ხელოვნება"

**ველიამინოვის ქუჩა № 20.**

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტად **დაკლებულ ფასებში.**

### საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას" აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წევრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—6)

## რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის დამფუძნებელი

## კონფერენცია

მოწვეულია ქ. სიღნაღში 1919 წლის 18 მაისს, „ახალი კლუბის" დარბაზში, დილის 10 საათზე.

**დღიური წეს-რიგი:**

I. **წინასწარი მოხსენებები**: 1. მოკლე ისტორია პარტიისა, 2. პარლამენტის ფრაქციის, 3. ყოფილ დროებით მთავარ კომიტეტის, 4. სიღნაღის სამაზრო კომიტეტის და 5. რაიონის ორგანიზაციების მოხსენებები. II. **საპროგრამო**: მიმდინარე მომენტი და ჩვენი პარტია, 2. მიწის საკითხი, 3. პროგრამის გადასინჯვა, 4. ჩვენი პარტია და სოციალიზმი, 5. პარტიის სახელწოდება, 6. ჩვენი დამოკიდებულება სხვა პარტიებთან. III **საორგანიზაციო**: 1. წესდება პარტიის წევრთათვის 2. წესდება ორგანიზაციებისთვის, 3. პროპაგანდისტთა ორგანიზაცია, 4. პარტიის წევრთა ურთი-ერთ დამხმარე ორგანიზაციები, 5. არჩევნები მთავარ კომიტეტისა.

**კონფერენციის შემადგენლობა**: 1. პარტიული ორგანიზაციები გზავნიან თითო წარმომადგენელს ორგანიზაციის სახელით; 2. გარდა ამისა, პარტიის წევრები ყოველ 50 კაცზე გზავნიან ერთ წარმომადგენელს (50-ზე ნაკლები ვიდრე 25-მდე მაინც ნორმად ითვლება; 3. როგორც სიღნაღის სამაზრო, ისე ყოფილ დროებითი მთავარ კომიტეტების ყველა წევრი ესწრება კონფერენციას გადამწყვეტი ხმით; 4. პარტიის ყველა წევრს აქვს სათათბირო ხმა კონფერენციაზე.

**დროებით მთავარ კომიტეტის მაგიერ სიღნაღის სამაზრო კომიტეტი**

**შენიშვნა.** რადგანაც ყოფილ დროებით მთავარ კომიტეტის მოქმედება ხშირად არ შეესაბამებოდა პარტიის პროგრამას და ზოგჯერ კიდეც ეწინააღმდეგებოდა მას, და რადგანაც მან მთელი ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა პარტიის დამფუძნებელ კრების მოწვევა, ამიტომ სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა, როგორც პარტიის უმრავლესობის ნებისყოფის გამომხატველმა, გამოაცხადა დროებითი მთავარი კომიტეტი გაუქმებულად და გადასწყვიტა მოეწვია ზემო აღნიშნული კონფერენცია. ს. ს. კ.

(3—2348—2)

**პარასკევს, 9 მაისს**

## ვახტანგ ღამბაშიძე

ქართულ კლუბში წაიკითხავს ლექციას:

## „ცოტა რამ ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ"

ლექცია ბუნდოვანის სურათებით, დასაწყისი საღ. 8 საათზე.

(1 2354 1)

## სახელმწიფო თეატრი

### სახელმწიფო თეატრის დირექცია საოპერო გუნდში მომღერლებს იწვევს.

ხმის გასინჯვის შემდეგ მომღერლები სახელმწიფო თეატრის სამსახურში ჩაირიცხებიან და **ჯამაგირი დაენიშნებათ.**

**ჩაწერა ჰსწარმოებს ყოველდღე, თეატრის კონტორაში,**

დილის 11 საათიდან—2 საათამდე.

ხმებს პირველად გაუსინჯავენ მარტის 12-ს. 2 საათ.—4-ამდე.

(4—1)

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 7 მაისს წარმოდგენილი იქნება

## აბესალომ და ეთერი

8 მაისს ე. ვრონსკის იუბილე „**ევგენი ონეგინი**", 9 მაისს „**თქმულება შოთა რუსთაველზე**", 10 მაისს „**თაისი**".

## სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა

ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 1-დან საპროცენტო ღირებულებანი ყოველ გვარ ოპერაციებზე გადიდებულია ერთი პროცენტით (1 პროც.). 1—61—1

## სამართლის, უფლების და სუვერენობის შელახვა

ვიცით, რა პირობებში მოეწყო ძეგვის ხიდის აფეთქება. სომხეთი და რეაქციის რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ შეთანხმებულ სამხედრო მოქმედებას იწყებდნენ. საქართველოს შუაგულში მათი აგენტები ენერგიულ მუშაობას ეწეოდენ, სიტყვით, კალმით და მოქმედებით. საქართველო უნდა დაემხოთ. ყველა ჩვენი ორგული და მტერი ამ მიზნის გარშემო გაერთიანდა და საშინელი ქარიშხალი თავს დაგვატრიალეს...

სომხეთმა გახსნა საქართველოს დამხობის უვერტიურა და შეიარაღებული ძალები პირველად ოქტომბრის თვეში თავს დაგვასხა. ამ სიგნალზე უნდა წამოშლილიყვნენ ჩვენი მტერნი და მუხანათნი: ჩრდილოდან რუსის მოხალისენი, ხოლო საქართველოში რუსეთ-სომხეთის აგენტები. ამ მოახლოებულ ხიფათის დასახვედრად საქართველო მზადებას შეუდგა; ყოველის კუთხიდან მუშაობდნენ ქვეყნის ცოცხალი ძალები. მტერს ხელი უნდა შეეშალა ამ ძალთა შეკრება - მობილიზაციისათვის; მან განიზრახა საქართველოს გაჭრა ორ უსწორო ნახევრად, ასე რომ საქართველოს დიდი ნაწილი, ამ განცდის ჟამს, გამოუსადეგარი დარჩენილიყო საქართველოს თავდაცვისათვის. მუხანათებმა არჩიეს და საუკეთესოდ დაინახეს საქართველოს გაჩეხა ზედ ძეგვის ხიდზე. პირველ ნოემბერს, დილის ხუთის ნახევარზე მტრის ხელმა ზედი-ზედ ოთხი აფეთქება მოახდინა, რომ ძეგვის ხიდი ჰაერში აეგდოთ საქართველო ნოემბერშივე დაესამარებინათ, როგორც და მოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო...

ადმინისტრაციამ დამნაშავენი შეიპყრო. სასამართლომ ისინი გაასამართლა. პროცესში გამოაშკარავდა შეთქმულების ფართედ გაბმული ქსელი; დამტკიცდა დიდი წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა და მრავალი მნიშვნელოვანი პირის მონაწილეობაც

მთელი ერთი კვირის დაკითხვისა და გარჩევის შემდეგ სასამართლომ თავისი მსჯავრი გამოიტანა, დამნაშავეთ იცნო სამხედრო ინჟენერი **გიორგი ლეონიდის ძე შმაგაილოვი** და ბორჩალოს მკვიდრი, მოქალაქე **სარქის სტეფანეს ძე კუჩარიანცი**, და ორთავეს სიკვდილი გადაუწყვიტა.

ამ საქმესთან დაკავშირებით აგრედვე დაჭერილი იყვნენ პოლკოვნიკი ჟუნკოვსკი, დეგტიაროვი და სხვანი, რომელთაც მოელოდათ გასამართლების ჯერი და მიუდგომელი განაჩენი...

მაგრამ .. დაიფხრიწა სასამართლოს განაჩენი. გამასხარავდა მართლმსაჯულების სიტყვა, მისი ვერდიკტი: საქართველოს სახელმწიფო მოღალატეებს, სასამართლოს მიერ გამტყუნებულ დამნაშავეთ ჯერ სიკვდილით დასჯა თორმეტი წლის კატორღათ შეუცვალეს, ხოლო მეორე დღეს, იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, ციხის კარები ფართოდ გაუღეს და გარეთ გამოუშვეს!!!

სასამართლომ მოღალატედ და დამნაშავედ სცნო შმაგაილოვი და კუჩარიანცი; მთავრობამ გაანთავისუფლა ისინი;

რას ამტკიცებს ეს გარემოება? ჯერ ერთი იმას, რომ სასამართლოს სახელი შერცხვენილია სამუდამოდ, მისი პრესტიჟი მიწასთან გასწორებული, მისი ავტორიტეტი გამასხარავებული. სასამართლო მოკვდა ქვეყნის თვალში. სახელმწიფო მოღალატეს, სასამართლოს მიერ გამტყუნებულს, არა სჯიან და ანთავისუფლებენ; ვის, რომელ მოქალაქეს, ან რომელ დამნაშავეს უნდა ჰქონდეს შიში და რიდი კანონის, სამართლის.

საზოგადოების დაშლასა და გახრწნას თავისუფალი სამდინარო მიეცა. ხოლო ყოველ დამნაშავეს—გამართლების და შინაგანი თავისუფლების საბუთი... დაიწყო ალსასრული სახელმწიფოებრივი ზნეობის...

მეორეს მხრით მთავრობამ, იმას გარდა რომ სამართალი და სასამართლო მოჰკლა და ამით რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას არსებობის უმტკიცესი და უფაქიზესი იარაღი გამოაცალა, უღალატა თავის ქვეყანას, თავის სამშობლოს, რომ უკვე დადაღული დამნაშავენი გაანთავისუფლა. ქვეყანას დაეკარგა იმედი, რომ მას აარიდებენ ბოროტ-მოქმედებას, რომ სახელმწიფოს ამფეთქებლებს ხელახალი დანაშაულის ჩასადენათ ყოველი გზა და საშუალება წაერთმევა. მხოლოდ ქვეყნის მტერს და მოღალატეს შეუძლიან ჩაიდინოს ასეთი აქტი

ეს ისეთი დანაშაულია, რომ ასეთ მთავრობას ხალხის სათავეში დარჩენის არც ზნეობრივი და არც მოქალაქობრივი უფლება აქვს. ეს ისეთი თვისების დანაშაულია, რომ ვერ წარმოგიდგენია, რომ თავისუფლად და შინაგანის თაოსნობით მთავრობას თვით მოსვლოდა მისი ჩადენის და აღსრულების განზრახვა.

ჩვენ ვიციც, რომ **შმაგაილოვის** საქმეს და დანაშაულს მოკავშირეთა—საფრანგეთ-ინგლისის,—უფრო კი ინგლისის მისიის სახელს უკავშირებდნენ. ჩვენ ვიცით, რომ თვით პროცესის დროს, 24 ქრისტიშობისთვეს, **შმაგაილოვის** დამცველმა **ზელინსკიმ**, სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგინა ინგლისის მისიისგან მიცემული მოწმობა, რომელიც იქვე ასე ითარგმნა: „ამით ვამოწმებ, რომ რუსის ჯარის ოფიცრები, რომელთაც სცადეს ქსანის და მცხეთის ხიდის აფეთქება, აგენტები იყვნენ მოკავშირეებისა და მოქმედობდნენ მოკავშირეთა წარმომადგენლის ინსტრუქციითა და მითითებით".

ხელს აწერს **ჯორდანი.**

ჯორდანის ეს მოწმობა ინგლისის მისიის არც ერთ წარმომადგენელსაც შემდგომ არ გაუბათილებია.

ამ ფაქტით შმაგაილოვის მოქმედებაში, წილი დაიდვა ინგლისის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ. ამასთანავე, ამ დღეებში გაზეთებში აღინიშნა, რომ შმაგაილოვ-კუჩარიანც-ჟუნკოვსკის განთავისუფლებასთან ინგლისის მისიის მოთხოვნას ჰქონდა კავშირიო. არც ჩვენი მთავრობის მხრით და არც ინგლისის მისიის მხრით ეს უარყოფილი არ იყო.

არ კმარა იმის თქმა, რომ შმაგაილოვის პროცესებში ინგილისის მოქმედება, ჯორდანის სახით, არა ლოიალურია. შეუწყნარებლად მიგვაჩნია, რომ ინგლისის მისია როგორმე ერეოდეს საქართველოს სასამართლოს თავისუფალ მოქმედებაში. ეს შეპლალვაა ქართველი ერის სინიდისის და მისი სუვერენობისა.

ამგვარ ჩარევასაც რომ ადგილი ჰქონოდა, ღირსეული მთავრობა ასე უჩუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

ხოხუმის საქალაქო არჩევნებში სოციალისტებმა 18 ხმოსანი გაიყვანეს, არა სოციალისტებმა კი 22.

უკრაინის საბჭოთა მთავრობაში რუმინეთს ულტიმატუმი წარუდგინა რომ 24 საათის განმავლობაში ბუკოვინა დასცალონ.

რიო დე ჟანეიროში, ბუენოს აირესში და ტრიესტში იტალიელთა პატრიოტული მანიფესტაციები იმართება.

ინგლისური ცნობით ბოლშევიკები მოსკოვსა და პეტროგრადსა სცლიან.

მიუნხენის კომუნისტებმა განაცხადეს, რომ, თუ ჰოფმანის მთავრობა მიუნხენს არ დაიჭერს, საომარ მოქმედებას შესწყვეტენ. უკრაინის საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარედ საკოვსკი დაინიშნა.

პეტლიურა, რომელიც როვნოში დაატყვევეს მცველებს გაექცა.

---

რად, კულისებში, არც საქართველოს სამართლოს შეალახვიებდა ვისმე და არც საქართველოს სუვერენობას და თვითონაც არ გამოვიდოდა თავის ვეუნის სამართლის და მის უფლების გამთელავი. უწინარეს და ; მაღლეს ყოვლისა მართლმსაჯულება და ღირსება. ჩვენი მთავრობა ამას მეორედ ღალატობს აუტანელ ფართო მაშტაბში. ხალხი და ქვეყანა თვალებს როდის-ღა ამოიფშვნეტს?!

## პრესსა

**თბილისის განწმენდაზე.**

უკანასკნელ დროს თბილისი თანთან ივსება უცხოელებით. ამბავმა იმის შესახებ, რომ თბილისში ხალხი შიმშილით არ კვდება კავკასიის ყველა კუთხეებიდან და რუსეთიდანაც აუარებელი ხალხი გამოირეკა საქართველოში. თბილისის ასეთი ხალხით ავსება რასაკვირველია ბუნებრივად იწვევს რესპუბლიკის სატახტო ქალაქში აუტანელ კრიზისს როგორც ბინისას, ისე სურსათისას.

ამის გარდა თბილისი აივსო სპეკულიანტებით, რომელნიც იყენებენ ამ მდგომარეობას და ნამდვილ ტერორის ქვეშ აყენებენ თბილისის მოქალაქეებს. ამ საკითხს ეხება „სახალხო საქმე“ და შემდეგი სამართლიანი შენიშვნით ათავებს წერილს.

„საქართველოში მოისწრაფვის ყოველგვარი პოლიტიკური ავანტიურისტი და რეაქციონერი [illegible]

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

**3 მაისის სხდომა.**

[illegible]

ესწრნენ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლნი: ბბ მინისტრი გეგეჭკორი, რამიშვილი და კანდელაკი, სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლნი ბბ. ტიგრანიანი, არუთინიანი და მამიკონიანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენლნი ბბ ხან-ხოელი, ჯაფაროვი და ხას მაჰმედოვი მთიელ ხალხთა კავშირის რესპუბლიკის წარმომადგენლნი ბბ. კანტემირი და ბუტაევი. სხდომას თავმჯდომარეობს ბ. ხან-ხოელი სხდომა იწყება საღამოს 8 ნახ საათზე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ დღეებში კონფერენცია შეუდგება განხილვას იმ საკითხებისას, რომელნიც გადაცემულია კომისიებში. იმ საკითხთა განსახილველად, რომელიც უნდა წარსდგეს კონფერენციაზე, შემდგარია კომისიები: 1) ტერიტორიულ და სამოსაზღვრო დავის პრინციპების და საშუალებათა გადასაწყვეტად; 2) რკინის გზის, ფოსტის და ტელეგრაფის მოსვლის მოსაწესრიგებლად; 3) საბაჟო და საფინანსო საკითხები; 4) პოლიტიკურ დამოუკიდებლობის რესპუბლიკათა ერთმანეთის აღიარება დეკლარაციის გამოცემა რესპუბლიკათა დაცვად გარეშე მტერთაგან; 5) სამოსამართლო საუფლებრივო დამოკიდებულება საკითხი პოლიტიკურ დამნაშავეებზე ლტოლვილთა საქმეთა შესახებ თვითეულ კომისიაში შედის [illegible]

## ქალაქის არჩევნები სოხუმში

[illegible]

## ქრონიკა

◆ **სომხების მობილიზაცია** [illegible]

◆ **საერობო არჩევნები თიანეთის მაზრაში.** თიანეთის მაზრაში საერობო წვრილი ერთეულების არჩევნები კიდეც დაიწყო, ინსტრუქტორად დაინიშნა ბრეგვაძე. სასოფლო კომისია ჰგზავნის მაზრაში საკუთარ პროპაგანდისტებს.

◆ **ლტოლვილები.** თბილისში ამ ჟამად 25,000 ლტოლვილი იმყოფება.

◆ **ყარსის გადაცემა სომხებისთვის.** გაზეთ „აშხატავორს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ 28 აპრილს ინგლისელებმა სომხეთის მთავრობას ყარსის ფორტები გადასცეს. ქალაქის კომენდანტად მეოთხე პოლკის პოდპოლკოვნიკი მათეევი დაინიშნა.

◆ **კანონ-პროექტი.** დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში შემოვიდა კანონ-პროექტი იმ ჯარისკაცთა მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად, რომელნიც დაზარალდნენ სხვა და სხვა ასპარეზებზე ბრძოლის დროს.

◆ **ახალი გაზეთი.** მაისის შუა რიხვებიდან თბილისში გამოვა ყოველ კვირეული რადიკალური და დემოკრატიული გაზეთი ქართულ ენაზე სახელად „რადიკალი“.

◆ **კომისია ბინების კანონ-პროექტის შესადგენათ.** იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია რომელსაც მინდობილი აქვს ბინების შესახებ ახალი კანონ-პროექტის შემუშავება. კომისიაში შედიან ა) ბინის დამქირავებელთა კავშირის თავმჯდომარე ნაფიცი ვექილი რეინბოტი ბ) ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლი გებშტეინი, გ) მომრიგებელი მოსამართლე ტერ-მარტიროზოვი დ) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ი) სახლის მეპატრონეთა კავშირის თავმჯდომარე ი. გამყრელიძე და ვ) ამავე კავშირის წევრი მზარეულიშვილი. კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტროს იურის კონსულტი დემიდოვი. კომისიას რამოდენიმეჯერ ჰქონდა სხდომა. მომავალი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათისათვის.

◆ **დეზერტირობასთან საბრძოლველად.** სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბთან შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს კანონი, დეზერტირობასთან საბრძოლველად. კომისიაში მონაწილეობას იღებენ გენერალურ შტაბის წარმომადგენელი, სამხედრო სასამართლოს წარმომადგენელი გენ. ვეზირიშვილი. იუსტიციის სამინისტოს წარმომადგენელი ნაფიცი მსაჯული კვერკველია და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. ხსენებულ კომისიის სხდომა დანიშნულია დღეს დილის 11 ს.

◆ **ქართველ მსახიობთა** საპროფესიო კავშირის წევრთა წლიური კრება დანიშნულია მაისის 29.

◆ **მასწავლებელთა კრება.** ხუთშაბათს მაისის 8-ს, საღამოს 6 საათზე ვაჟთა 1 გიმნაზიის შენობაში დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა კრება. დასწრება სავალდებულოა.

## სხვა და სხვა ამბავი

◆ 5 მაისს საღამოს 6 საათზე ლაზარეთის ქუჩაზე მოჰკლეს ოსმალეთის ქვეშევრდომი ნ. არშილოვი. მკვლელმა შაგინოვმა გაქცევა მოასწრო. მის დასაჭერად მიღებულია მკაცრი ზომები.

◆ 1 მაისს დღის 11 საათზე არხანგელსკის ქუჩაზე ნოზაძის ბინაზე შევიდნენ რამოდენიმე ბოროტ-გამზრახველნი და წაიღეს 12,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

## სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს მეთერთმეტედ იდგმება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ხვალ მომღერალ ვრონსკის იუბილეს თვის წარმოადგენენ „ევგენი ონეგინს“.

**დრამა „ტარტო“.** მზადდება ალ. ტოლსტოის პიესა „დანტონის სიკვდილი“.

**მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.** წელს მწერალ ქალს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შეუსრულდა 25 წელიწადი, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ქართულ ლიტერატურაში კარგად ცნობილია მისი შესანიშნავი რომანი „მოლიპულ გზაზე“. ან. ერისთავ-ხოშტარიას ნაწარმოებიდან აღსანიშნავია კიდევ მეორე რომანი „ბედის ტრიალი“ მოთხრობები „ლაზარემ გადააჭარბა, „მამა იოსები“, „კერა“ და სხვ. ამ ჟამად სწერს ახალ სოციალურ შინარსის რომანს „მიწა“-ს.

**სასულიერო კონცერტი.** [illegible] 16 მაისს სახ[illegible] თეატრში გაიმართება ახლად დაწერილი ლიტურღია, მუსიკა დ. არაყიშვილისა. კომპოზიტორის ქართული ოპერა ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მოისმინა და ღირსეულად დააფასა, საინტერესოა, თუ რამდენად ტიპიურად და ხელოვნურად არის დაწერილი ქართული ლიტურღია.

---

**ბანკეტი „ცისფერ ყანწების“ რედაქციაში.** შაბათს 3 მაისს „ცისფერი ყანწების“ ჟურნალის გამოცემის თბილისში გადმოტანის გამო რედაქციის ახალ ბინაზე, (სოლოლაკი, ბებუთოვის ქუჩა № 40) გაიმართა ბანკეტი. ბანკეტზე იყვნენ მოწვეული თბილისის ხელოვნების წარმომადგენლები ეროვნების განურჩევლად. ბანკეტს დაესწრენ: ცნობილი პეტროგრადელი მხატვარი ს. ი. სუდეიკინი თავის მეუღლით, სომხის პოეტი ოვანეს თუმანიანი, პოეტი ვასილი კამენსკი, ძმები კირილე და ილია ზდანევიჩები, პროფ. გ. ხარაზოვი, პოეტი სერგეი გოროდეცკი, სერგეი რაფალოვიჩი, იაკოვ ლვოვი, სპარსელი პოეტი ჰუსეინ ხანი და სხვები. ქართველებიდან: გერონტი ქიქოძე, გრიგოლ დიასამიძე, ლადო გუდიაშვილი და მთელი შემადგენლობა „ცისფერი ყანწების“. პირველი სიტყვა წარმოსთქვა „ცისფერი ყანწების“ რედაქტორმა პაოლო იაშვილმა. ბანკეტს თავმჯდომარეობდა გრიგოლ რობაქიძე. სიტყვები წარმოსთქვეს ოვანეს თუმანიანმა, სუდეიკინმა, ტიციან ტაბიძემ, ვასილი კამენსკიმ და გიგო დიასამიძემ.

აგრეთვე იყო ლექსების კითხვა ქართულ და სხვა დამსწრეთა ენაზე... ყველა სიტყვა აღნიშნავდა ხელოვნების განთავისუფლებას და ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცებას. ბანკეტი ღამის 11 საათზე დაიშალა.

## მესხეთ-ჯავახეთის კომიტეტის მოწოდება

მესხეთ ჯავახეთის დღევანდელი მდგომარეობა საშინელებას წარმოადგენს: ხალხი იმუსრება სიმშილით და ათასნაირ გადამდებ სენით. უბინაო და უსამოსათ მესხ-ჯავახელნი, ხდებიან მსხვერპლად ჩვენი დაუდევრობისა მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი 9 და 10 მაისს ჰმართავს „მესხეთ-ჯავახეთის დღეს“ — ამ დღეს თბილისში გაიმართება სეირნობები და ყულაბებით ფულის შეგროვება.

კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ ყურად იღოს მესხეთ-ჯავახეთის მძიმე მდგომარეობა და ღვთიერი დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტს.

**მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი.**

## გენ. დენიკინის შტაბის ნაწილი თბილისში

ამ უკანასკნელ დროს ადგილობრივ გაზეთებში ძალიან ბევრი წერილი იწერება რუსეთის ქვეშევრდომ დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის შესახებ, რომელიც თბილისშია მოკალათებული მიხეილის პროსპექტზე № 126. მაგრამ საუბედუროდ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩემს თავს მოვალედ ვხდი ხმა ამოვიღო.

ამ რამოდენიმე თვის წინად, ზოგიერთი წევრი ამ კავშირისა საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის წევრადიყო. ბოლო დროს ამათ კავშირი გააბეს დენიკინთანა და ბიჩერახოვთან, ერთგულობა შეჰფიცეს მათ, რის გამო 200,000 მანეთზე მეტი მიიღეს. გამოეყვნენ ქართველ დაჭრილთა კავშირს და საკუთარი კავშირი დაარსეს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ დაჭრილთა კავშირი დიდის სიამოვნებით იღებს და კარს არ უკეტავს სხვა ეროვნების დაჭრილებს, რუსებმა მაინც არ მოისურვეს ქართველებთან ერთად დარჩენა და საკუთარი კავშირი დაიარსეს.

ეს ადვილი გასაგებიც არის.

ქართველებთან ისინი ვერ შესძლებდნენ თავიანთი შავრაზმული განზრახვების თავისუფლად განხორციელებას. რუსთა კავშირი თავის წევრებად მხოლოდ მარტო რუსის ოფიცრობას იღებს, ჯარისკაცებს კი რაც უნდა შრომის უნარ-დაკარგული იყვნენ, მაინც არ ღებულობენ.

ამ ერთი კვირის წინად ასეთი შემთხვევა იყო: ერთი ქართველი გენერალი მ—ვი შეცდომით მივიდა რუსთა კავშირში ჩასაწერად. მას უპასუხეს, დიდის სიამოვნებით ჩაგწერთ, თუ ხელწერილს მოგვცემ, რომ თქვენ რუსის ქვეშევრდომი გახდებითო. ამაზე მეტი თავხედობა წარმოუდგენელია.

ღმერთმა უწყის, ახლა რა არ ხდება რუსების კავშირში და რას არ უმზადებენ ჩვენ თავისუფალ სამშობლოს. ეს კავშრი პატარა შტაბია დენიკინის აგენტებისა. ამ შტაბიდან ხშირად მოგზაურობენ დენიკინისა და თბილისის შუა შიკრიკები, რომლებიც ამბავს ეზიდებიან აქეთ-იქით

ყოველი საზიზღარი ცილისწამება საქართველოსა და მის მთავრობაზე, რომლებიც რუსული გაზეთებში იბეჭდებიან, მათი კალმის საქმეა.

აქ კი ჩვენ მთავრობას ერთგულებას ეფიცებიან.

ამას წინად მათ, საერთო კრებაზე, საპატიო თავმჯდომარედ ქ-ბ. მინადორა ტოროშელიძე აირჩიეს, ტაში-კვრა და ტკბილი სიტყვები ბევრი იყო. „ურას“ ძახილმა ისე მოხიბლა ქ-ნი ტოროშელიძე, რომ დღეს თვალში რომ ჩაუვარდეს რომელიმე ჯოხებიანი რუსის კავშირის წევრი, ხელსაც არ ამოისვამს.

ტოროშელიძე მათი ნამდვილი ბატონ-პატრონი და მფარველი შეიქმნა. სურსათის გამოტანა ჩვენ საინტენდატოდან მათთვის დარიგება და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

მეტად სამწუხაროა რომ ქალაქის დამხმარე კომიტეტი ამ რუსთა კავშირის წევრებს ყოველ თვეში ეგრედ წოდებული „პაიკს“ ურიგებს. მაგალითად თითო წევრი იღებს 2 ნახ. გირვანქა შაქარს, 2 ნახ გირვანქა ზეთს, ნავთს და სხვა. დენიკინი ჩრდილო კავკასიაში ქართველებს ატყვევებს და საქართველოსკენ ერეკება, ჩვენ სამაგიეროდ და სამადლობლად მისს აგენტებს თავზე ხელს უსვამთ და სურსათ-სანოვაგეს ვაძლევთ.

ამას წინად, როდესაც რუსების ეროვნულმა საბჭომ, ქალაქის თვითმართველობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ამერიკული თეთრი პური ეძლიათ მათთვის, ქალაქმა მათი თხოვნა არ შეიწყნარა და უარი უთხრა, როგორც რესპუბლიკის არა ქვეშევრდომთ. რუსის დაჭრილთა კავშირს კი თეთრ პურს ურიგებს. ნუ თუ ქალაქის თვითმართველობამ არ იცის, რომ რუსის დაჭრილთა კავშირის წევრები საქართველოს ქვეშევრდომნი არ არიან და მასთან ყველა ისინი რუსის ეროვნული საბჭოს წევრები არიან?!

ქ. ბ. ტოროშელიძის შემწეობით რუსის დაჭრილთა კავშირის წევრებმა პაგონებიც კი დაიკერეს.

ამან მეტად გაახარა თბილისში მოკალათებული რუსის გახულიგანებული აფიცრობა და დღეს დიდძალი ოფიცრობა ეწერება რუსის კავშირში. რატომაც არ ჩაეწერებიან, აღადგინეს ნიკოლოზ მეორეს პაგონები, ორთავიანი არწივით და ნიკოლოზის წარწერით და თანაცა ჩვენი გაცარიელებული საინტენდანტოდან მუქთად „პაიოკს“ ღებულობენ და ქალაქიდან კიდევ თეთრ პურს.

მე ძალიან მეინტერესება ახლად შედგენილი რუსის ოფიცერთა ხულიგანური რაზმი, რომელ ფრონტისათვის ამზედებს ბ-ნი ტოროშელიძე?!

ბატონებო, მიაქციეთ ყურადღება დენიკინის შტაბის ნაწილს, თორემ როდესაც უეცრად ზურგში ლახვარს ჩაგვცემენ მაშინ გვიან-ღა იქნება.

**გულშემატკივარი.**

## ივ. ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე

(გაგრძელება)

ირაკლიმ მაინც უარი არა სთქვა, და ეს საქართველოს ძვირად დაუჯდა. აღა მაჰმად-ხანმა შოაოხრა თბილისი და თვით ირაკლი თბილისიდან ილტვოდა. ირაკლი თავის დროზედ სთხოვდა რუსეთს ხელშეკრულება შეესრულებინა და მაშველი ჯარი გამოეგზავნა, მაგრამ ამაოდ. თბილისის მოოხრების შემდეგ აღა მაჰმად-ხანმა ირაკლის კვლავ დესპანი გაუგზავნა, ჰპირდებოდა, დანგრეულ ქალაქების აღდგენას, წაყვანილ ტყვეების განთავისუფლებას, ოღონდ ირაკლის რუსეთისთვის პირი მოერიდებინა. ირაკლიმ ამაზედ არავითარი პასუხი არ გასცა. ის მაინც შველას ელოდა რუსეთიდან, მაგრამ ამაოდ. ირაკლი ისე გარდაიცვალა, რო მან ვერ იხილა კვლავ აღდგენილი საქართველო. ირაკლის სიკვდილის შემდეგ პეტერბურგში მალე გამოქვეყნდა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი. მაგრამ ამ მანიფესტის გამოქვეყნებას თბილისში ვერა ჰბედავდნენ. მეფე გიორგი მეცამეტესთან პავლე პირველი აწარმოებდა მიწერ-მოწერას და დამატებით პუნქტების შესახებ. ბოლოს ორი წლის შემდეგ, როცა საქართველოს შეერთების მანიფესტი უკვე გამოქვეყნებული იყო პეტერბურგში, პავლე პირველის დელეგატებმა წამოიღეს ეს მანიფესტი თბილისში, ამ მანიფესტზედ ხელი უნდა მოეწერა გიორგი მეცამეტეს და შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ დელეგატები გზაში იყვნენ, როცა გიორგი მეფე გარდაიცვალა. მაშინ საქართველოს ახალ მთავარსარდალმა კნორრინგმა შეკრიბა სიონის ტაძარში ყველა დიდებულნი, უფლის წულნი, დედოფალნი, შემოარტყა ჯარი, წაუკითხა მათ მანიფესტი და მოითხოვა რომ ყველას ხელი მოეწერა მანიფესტზე, ვინც ხელს არ მოაწერდა მას დახვრეტავდნენ. ბევრი არ შეუშინდა ამას და ხელი არ მოაწერა მანიფესტს. ამგვარად მოხდა „ნებაყოფლობითი“ შეერთება საქართველოსი რუსეთთან. ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკკუპაციამდე.

ას ჩვიდმეტმა წელმა გაიარა, და საერთაშორისო განწყობილების წყალობით საქართველოს მონობა კვლავ მოეხსნა ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით, და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა.

რუსეთს ყველაზედ გვიან საქართველო ჩამოშორდა. ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა, და ამისათვის საქართველო თანდათანობით სცილდებოდა რუსეთს. ჯერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, შემდეგკი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თანდათანობა არ იყო განზრახ მოგონილი, როგორც სწამებენ ჩვენ მმართველ პარტიას სომხები და რუსები, მაგრამ ეს თანდათანობა ძლიერ კეთილი იყო საქართველოსათვის. საქართველო რომ უეცრად ჩამოსცილოდა რუსეთს, მას გაანადგურებდა ან რუსის, ან სომხის მობოლშევიკე ჯარი. ერთი სიტყვით პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ. და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია.

დამარცხდა გერმანია, და მოკავშირეებიც შემოვიდნენ კავკასიაში. მოკავშირეები მოვიდენ აქ ჩვენდამი მტრულ განწყობილებით. ისინი ვერ შერიგებოდენ იმას, რომ ჩვენ აქ გერმანელები შემოუშვით. როგორც იყო ასე თუ ისე მოვაგვარეთ საქმე მოკავშირეებთან, და მივიღეთ ნება, რომ ჩვენ დელეგაციას შეეძლო პარიზის კონფერენციაზედ გამგზავრება. წინა დღით გადმოგვცეს, რომ ჩვენს დელეგაციას ბათუმში საგანგებო გემი ელოდება და იქ მალე უნდა გავმგზავრებულიყავით. საჩქაროდ მოვემზადეთ და ბათუმს გავემგზავრეთ. მაგრამ იქ გემი არ დაგვხვდრია. მოკავშირეებმა დაგვარწმუნეს, რომ შეცდომა მოხდა და გემი აქამდის რაღაცა მიზეზებით არ ჩამოვიდაო. კვირაზედ მეტი ველოდეთ იმ ჩვენთვის საგანგებოდ გამოგზავნილ გემს, მაგრამ ის გემი დღესაც არ ჩამოსულა ბათომში. სომხების დელეგაცია კი ჩასულის უმალ ნაღმოსნით გაგზავნეს კონსტანტინეპოლში, ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში, აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა, ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ბათომიდან გაგვგზავნეს გემით რომელიც სოლონიკში მიდიოდა. ამ გემს ჩვენ სოლონიკში უნდა წავეყვანეთ, სოლონიკიდან კი ადვილი იყო საფრანგეთში გამგზავრება, მაგრამ ეს გემი უნებლიეთ სტამბოლში გაჩერდა, და ჩვენც ქვევით აღარ გაგვიშვეს. კონსტანტინოპოლში ჩვენი ცხოვრება მაინც სასარგებლოდ აღმოჩნდა. საქართველოში ჩვენ არ ვიცოდით თუ ქვეყანაზედ რა ამბები ხდებოდა. აქ კი გავიგეთ რომ მთელი რუსეთი და ევროპა გარშემორტყმულია მოკავშირეების მიერ. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნება დაურთველათ არავის არსად უშვებენ: ბელგიელს ბელგიაში წასვლა არ შეუძლიან, დანიელს დანიაში, ისპანიელს ისპანიაში და სხვა წერილებზედ სასტიკი ცენზურაა, რომელიც ომის დროსაც კი არ იყო. თუმცა ამ გარშემორტყმას მოკავშირეები ხსნიან ბოლშევიზმის გავრცელების შიშით, მაგრამ გარშემორტყმულნი არიან ის სახელმწიფოებიც-კი, სადაც სრულებითაც არ არის ბოლშევიზმი, ნეიტრალური სახელმწიფონიც კი განიცდიან ამ გარშემორტყმას. ნეიტრალობაც კი მოკავშირეებს საეჭვოდ მიაჩნიათ. საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გამოაცხადა ნეიტრალობა: საქართველომ სწორე გეზი აიღო. ომის ბედი ცვალებადია, და ამ მსოფლიო ომში საქართველო არც ერთ მხარეზედ არ გადიხარა. სტამბოლში ჩასვლისას მოკავშირეთა ჟანდარმერიამ დაარღვია ჩვენ დელეგატთა ელემენტარული უფ-

ლება ხელშეუხებლობისა: დაიწყეს გამოკითხვა რომელი დელეგატი რა პარტიას ემხრობოდა რა აზრისა იყო ამ მსოფლიო ომზედ. საზოგადოთ საქართველოს დელეგაციას კარგის თვალით არ უყურებდნენ. მოკავშირენი საქართველოს სთვლიდნენ გერმანიის მოკავშირედ, ამავე დროს კი სომხეთს ისინი თავიანთ მოკავშირეთა სთვლიდნენ, და საკმარისი იყო გქონოდათ მოწმობა რომ თქვენ სომხეთის ქვე შევრდომი ხართ და თავისუფლად შეგეძლოთ შესვლა და გასვლა კონსტანტინოპოლიდან. სომხეთს დიდი უპირატესობანი ჰქონდა მინიჭებული: თვით მუსულმანებს, სპარსელებს და ოსმალებს, არ უშვებდნენ სტამბოლში, თუ მათ სომხის პატრიარქიდან არ ექნებოდათ მოწმობა, რომ ამასა და ამ მუსულმანს სომეხების ჟლეტაში მონაწილეობა არ მიუღია. სომხებმა საზოგადოდ გამოიჩინეს დიდი უნარი დასავლეთ-ევროპაში და ამერიკაში საზოგადოებრივ აზრის სომხეთის სასარგებლოდ შემუშავებისა. მარტო სტამბოლში გამოდის ხუთი სომხური გაზეთი და ორიც ფრანგული საქართველოს რომელსაც სომხები მეთაურობენ, დელეგაციის იქ ყოფნის დროს ამ გაზეთებში ძალიან ბევრი წერილები იწერებოდა საქართველოს წინააღმდეგ. ჯერ წერილი დაიბეჭდებოდა ხოლმე სომხურ გაზეთებში, შემდეგ ის განმეორდება ფრანგულში. სომხების საქართველოსადმი ზიზღი პირდაპირ საკვირველია.

რა ჭორი რა ცილის-წამება არ იბეჭდებოდა ამ გაზეთებში. სხვა და სხვა-ნაირად იმეორებდნენ იმ აზრს, რომ საქართველო კიდევ ომის წინად პირობით შეეკრა გერმანიას, რომ ქართველები ხელს შეუწყობენ რუსეთის დანგრევას და სამაგიეროდ მიიღებდნენ საქართველოს დამოუკიდებულებას. მართლაც ქართველებმა დაანგრიეს რუსეთი, შეასუსტეს ამით მოკავშირეები, და სამაგიეროთ მიიღეს დამოუკიდებლობა. ჩვენ საზოგადო მოღვაწეთ მასხარად იგდებდნენ, ჟორდანიას, ჩხენკელს და სხვა მინისტრების სახელს უეჭველად ოსმალურ სახელებს უმატებდნენ, ესე მაგ. სწერდნენ ენვერ-გიორგაძემ ესა და ეს სისაძაგლე ჩაიდინა სომხების წინააღმდეგაო. სომეხ-ქართველთა ომს ისინი აბრალებდნენ ქართველებს. ქართველებმა ასტეხეს ეს ომიო. ამ ომში სომხის ძლევა-მოსილმა მხედრობამ სასტიკად დაამარცხა ქართველებიო და მოკავშირეები რომ არ ჩარეულიყვნენ ჩვენი მხედრობა სომხეთის ქალაქს თბილისს აიღებდაო.

ქართველებს აბრალებდნენ ღალატს მხოლოდ საქართველოს ღალატმა გერმანია მოიყვანა ამიერ-კავკასიაშიო. ქართველებს რომ სომხებისათვის მხარი მიეცათ, გერმანელები ვერ გაბედავდნენ კავკასიაში მისვლასაო. ჩვენი დელეგაციის წევრნი სტამბოლში რომელ დაწესებულებაშიაც კი არ უნდა წასულიყვნენ, ყველგან ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ: „როგორ შეუშვით გერმანელები საქართველოშიო". რა მოსაზრებანიც კი არ უნდა მოეყვანათ ჩვენ დელეგატებს გერმანელების ჩამოსვლის შესახებ, ისინი მაინც თავისას იმეორებდნენ, არ უნდა შეგეშვათ გერმანელებიო.

(დასასრული იქნება).

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

## იტალიის პრესა.

**დემონსტრაციები რიოდ-ჟანეიროში.**

რიოდეჟანეიროში იტალიებმა დიდი დემონსტრაციები გამართეს იტალიის მთავრობისთვის თანაგრძნობის გამოსახატავათ იტალიის ეროვნულ საკუთრების დაბრუნებს საკითხის გამო. პროცესია მუსიკით და გაშლილი დროშებით გაემართა იტალიის საკონსულისაკენ, სადაც სიტყვები წარმოითქვა და იტალიის წარმომადგენელს აღფრთოვანებული ხალხი მიესალმა. ბრაზილიის ყველა კუთხის იტალიელთა ახალშენებიდან ასეთივე ცნობები მოდის.

**ვარშავის სეიმი.**

ვარშავაში სეიმმა კმაყოფილება გამოსთქვა ვილნოს და გროდნოს პოლონეთთან შეერთების გამო.

**მანიფესტაცია ტრიესტში**

ტრიესტში მაისის 1 ის დღესასწაულმა წყნარად ჩაიარა. მოხდა მხოლოდ ეროვნული ხასიათის მანიფესტაციები.

**მანიფესტაცია ბუენოს აირესში.**

ბუენოს აირესშიაც დიდი პატრიოტული მანიფესტაციები გაიმართა.

**ჰუნგრეთი და სლოვაკები.**

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ბელაკუნმა სლოვაკთა დასამხრეთის სლავიანთა მთავრობებს აუწყა, რომ ჰუნგრეთი შესაძლებელათ სცნობს მათ დაუბრუნოს სადაო ადგილები; საჭირო საომარ მოქმედების შეწყვეტა.

## ინგლისური პრესა.

**იტალია და მოკავშირენი**

საზავო კონფერენციაზე აღიძრა საკითხი იმის შესახებ, იტალია იყოს თუ არა მეხუთე დიდ სახელმწიფოდ. იტალიამ არ მოისურვა საზავო ხელშეკრულების მოწერა, მაგრამ აქვა სურვილი, შეინარჩუნოს წინანდელი ადგილი იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთა ხელშიც ამ ჟამათ არის ქვეყნის ბედი. ეს გარემოება აიძულებს იტალიას მიიღოს მოწვევა და დაბრუნდეს საზავო კონფერენციაზე. საზავო ხელშეკრულებაში ხშირად იხსენიება 5 დიდი სახელმწიფო, როგორც მრავალი საკითხის გადამწყვეტი უმაღლესი ავტორიტეტი; იტალიის გათიშვის შემდეგ კი გარემოება უნდა შეიცვლილიყო და დარჩებოდა 4 სახელმწიფო. გერმანელების ახალშენების საკითხიც აგრეთვე დიდ სახელმწიფოებმა უნდა გადასწყვიტონ, ასე რომ იტალიის გათიშვა საშუალებას ართმევს მას რაიმე მონაწილეობა მიიღოს ამ საკითხის გადაწყვეტაში. ხელშეკრულება უკვე იბეჭდება, გარდა ზოგიერთ წვრილმანებისა, რომელთა გადახედვა შეიძლება ხელშეკრულების დაბეჭდვის შემდეგ. რადგანაც იტალიის პოზიცია გამორკვეული არ იყო, დაამზადეს ხელშეკრულების 2 ვარიანტი: ერთში იტალიაც იღებს მონაწილეობას, მეორეში – არა. ეს ორივე ფორმა ხელშეკრულების ტექსტთან ერთად ხვალ უკვე დაბეჭდილი იქნება.

**ვილსონის აზრი ხელშეკრულებაზე.**

ამერიკის დელეგაციის წევრებს ვილსონმა განუცხადა: გერმანელებს საზავო ხელშეკრულებას ალბდ სამშაბათს დილით წარუდგენენო, მაგრამ, რაოგორც ეტყობა, ეს არ მოხდება, რათიტალიას საშუალება მიეცეს დაბრუნებისა და განიხილონ დანარჩენი საკითხები განსაკუთრებით ბელგიის საკითხი. ხელშეკრულების დაბეჭდილ ტექსტი არ შეიცავს ომის დაწყებისათვის კაიზერისა და სხვათა პასუხისმგებლობას, თუმცა შესაძლებელია ეს შემდეგ ჩაურთონ

**ხალხთა ლიგა.**

ხალხთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სხდომა ხვალ შესდგება. შეერთებულ შტატების წარმომადგენლად იქნება ვილსონი ან ხაუზი, ინგლისის სესილი, საფრანგეთის პიშონი, საბერძნეთის—ვენიზელოსი, ესპანიის—ელჩი, ბრაზილის—პესოა, იტალიას წარმომადგენელი არა ჰყავს ლიგის ორგანიზაციის საკითხს მრავალი კომიტეტი იხილავს და იმუშავებენ გეგმას ხალხთა ლიგის სხდომისას რომელიც ვაშინგტონში მოხდება ოქტომბერში. პრეზიდენტის მახლობელი პირები ამბობენ, რომ ივლისის ორს არის დანიშნული კონგრესის ცალკე სექციის სხდომა.

**ჰუნგრეთთან და ავსტრიასთან მოლაპარაკება**

ავსტრიასთან მოლაპარაკების ვადას დაუყონებლივ დანიშნავენ, როგორც კი ხელშეკრულებას გადასცემენ გერმანელებს, რაც იტალიასაც უნდა ეუწყოს. ავსტრიის წარმომადგენელთა გამოსვლას მაისის შუა რიცხვებში მოელიან. საფრანგეთის მთავრობამ ზომები მიიღო, რომ მათთვის ბინა დაამზადონ სენ-ჟერმენში. საკითხი იმის შესახებ, მისცემენ თუ არა ჰუნგრეთსაც წინადადებას ზავის შეკვრაში მონაწილეობისთვის, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ დასრულდება ჰუნგრეთში მომხდარი მღელვარება და უწესოება. ავსტრიასთან მოლაპარაკებას ვენის მთავრობის საშუალებით აწარმოვებენ. ამბობენ, რომ ავსტრიასთან დასადები ხელშეკრულება შედარებით მარტივი იქნება. უმთავრესი მასში იქნება, ყოფილ ავსტრიის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახელმწიფოთა საზღვრების აღნიშვნა. შემდეგ დაუდებენ ხელშეკრულებას ბულგარეთთან და ოსმალეთთან თუმცა ამის გარდა ჯერ დანიშნული არ არის.

პარიზში მოელიან, რომ მოკლე ხანში დაიბარებენ ავსტრიის და უნგრეთის წარმომადგენლებს და მეგობრულათ მიაართავენ იტალიას დაბრუნდეს საზავო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

**გერმანიის კაბელები.**

ცნობებია, რომ გერმანიის კაბელებს მოკავშირეთა შორის იქნება განაწილებული.

**გერმანია-ავსტრიის დაახლოვების საქმე.**

საფრანგეთიდან იუწყებიან, რომ საზავო ხელშეკრულების პირობები ძალიან აძნელებს ავსტრიის გერმანიასთან შეკავშირებას და აგრეთვე შეუძლებლათ ხდის, რომ გერმანიას და რუსეთს საერთო პოლიტიკური და სავაჭრო ინტერესები ჰქონდეს.

**ჩინეთის დელეგატების ცნობა.**

ჩინეთის დელეგაციამ დღევანდელ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ჩინეთს არ მოსწონს სამთა საბჭოს წინადადება შანდუნის შესახებ. დელეგაცია ფიქრობს, რომ ამის მიზეზი იქნება 1914 წლის მარტში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. არც ერთ ამ საიდუმლო შეთანხმებაში ჩინეთს მონაწილეობა არ მიუღია და მათი შინაარსიც კი არ აუწყეს ჩინეთს, როცა ის გერმანიის წინააღმდეგ წამოვიდა. მოხსენებაში შემდეგი ნათქვამია, რომ ჩინეთის ბედს ისე სწყვეტენ, რომ კომპენსაციები ჰქონდათ სახეში. ჩინეთში კი აშკარათ მოკავშირეთა მხარეზე გადავიდა რომ იაპონელთა მოთხოვნილებანი ვილსონის პროგრამის 14 პუნქტს შეეფერებოდეს. თუ სამთა საბჭომ გამოარკვია ფიუმეს საკითხი მით უმეტეს საფუძვლიანი იყო ჩინეთის მოთხოვნილებანი შანდუნის შესახებ.

**მოსკოვის და პეტროგრადის დაცლა.**

დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ, რუსეთიდან დეპეშები მოვიდა, რომელშიც აღნიშნავენ რუსეთში მდგომარეობის არსებითად გამოცვლას, კოლჩაკის და იუდენიჩის შეტევასთან ერთად დაიწყო მოსკოვის და პეტროგრადის დაცლა. ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება ყველგან კარგათ მიდის, ესევე ითქმის რუმინიის ფრონტის შესახებ, სადაც რუმინიის ჯარი ავიწროებს უნგრეთის ბოლშევიკებს. ფინელები არხანხელსკთან მოკავშირეთა ჯარს შეუერთდნენ და შეტევას განაგრძობენ. ჯერ არ არის საშუალება შემოწმდეს ეს ცნობები, რომელიც უცნობ წყაროებიდან არის მოსული.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი** მაისის 5. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**ნაუენი** მაისის 4. გერმანიის დამფუძნებელ კრებას მომავალ კვირაში ვეიმარიდან ბერლინში გადაიტანენ. საზავო, საბიუჯეტო და საკონსტიტუციო კომისიები მაისის 1 დან უკვე ბერლინში იმყოფებიან.

**პარიზი** მაისის 4. ბერნში ლიტვის ბიუროს ცნობით ლიტვის მთავრობამ ვარშავაში დიპლომატიური მასია გაგზავნა, იმ დავალებით, რომ მოაწესრიგოს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა.

**მოსკოვი**, მაისი 4. დღეს შეიკრიფა საბჭოთა ჟურნალისტების მეორე ყრილობა.

**ნაუენი**, მაისის 3. აღმოსავლეთის და დასავლეთის რაზმებმა დაიჭირეს ნაჩვენები ხაზი მიუნხენის დაჭერის მიზნით. ზინენშტრასეს მოედანი, მეზღვაურთა მოედანი, დიპეტერეტრასე და საყაზარმო კუთხე სპარტაკელების ხელშია. მიუნხენის აღმოსავლეთის სადგურზე მოვიდა ჯავშნიანი მატარებელი მთავრობის ჯარით. დებლინგი დაჭერილია.

**პეტერბურგი**, მაისის 4. პეტერბურგის საბჭოს სხდომა გახსნა ზინოვიევმა, რომელმაც დაახასიათა საზოგადო მდგომარეობა და სთქვა: „არამც თუ ფრონტზე, ზურგშიაც უნდა იქნეს მიღებული შესაფერი ზომები. ზურგში ბევრი შხამიანი გველია. მხოლოდ დღეს დილით ესროლეს ჩვენ ამხანაგ გრიგორიევს, როდესაც ის სამორიგეოთ მიდიოდა, შემდეგ მკვლელები გვირეკავდენ ტელეფონს და სხვა პასუხისმგებელ მომუშავეებს სიკვდილით ემუქრებოდენ. ჩვენ ამის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილი ზომები შევქმნათ ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც მუშებს ასი თვალი უნდა ჰქონდეს მიპყრობილი თითეულს მტერზე ჩვენ უნდა შევიარაღდეთ. მოწინააღმდეგე გაგვისწორდება ჩვენ იმ შემთხვევაში თუ დავიბნენით და ხროვათ გადავიქეცით და თუ ჩვენ შევინარჩუნეთ დისციპლინა და ორგანიზაცია მაშინ ჩვენთვის არც ერთი მტერი საშიში არ იქნება. მოსკოვი. მაისის 4. მაისის 2 მთელი ღამე ბრძოლა გრძელდებოდა აპრილის 30 მიუნხენის კომუნისტებმა ჰოფმანის მთავრობას აცნობეს, რომ შესწყვეტენ სამხედრო მოქმედებას იმ პირობით, თუ ჰოფმანის მთავრობა მიუნხენს არ დაიჭერს. ჰოფმანის მთავრობამ უპასუხა, რომ ეს პირობა მიუღებელია.

**მოსკოვი**, მაისის 4. ზინოვიევმა პეტერბურგის საალყო წესები შეადარა პარიზის საალყო წესებს და სთქვა. პარიზი სულით და გულით ჩვენსკენ იწევს. მთელი ქვეყნის მუშები ჩვენ დასახმარებლათ მოდის. ჩვენ მხოლოდ ფინელები დაგვრჩა დაუმარცხებელი, მაგრამ ისინი საშიში არ არიან. ფინეთი ვერ დაამარცხებს საბჭოთა რუსეთს. ფინეთში ჩვენ მრავალი მეგობრები გვყვანან ფინეთის პროლეტართა შორის, ისინი ჩვენ მხარეზე არიან და ჩვენ გვეხმარებიან. ჯერ კიდევ ვნახავთ, ვის მხარეზედ იქნება გამარჯვება. უშიშარი უნდა გავხადოთ თეთრგვარდიელები და ფინეთის ძველი მანერგიემი გავაგდოთ. პეტერბურგის პროლეტარიატის მშრომელი და შეგნებული ნაწილის მობილიზაცია უნდა მოვახდინოთ და ფრონტზე დავიწყოთ მუშაობა. ჩვენ უნდა ყველას ვუჩვენოთ რომ მოახლოებულია საბოლოო გამარჯვების დღე."

**მოსკოვიდან** ჩამოსულმა შმიდტმა მისალმების სიტყვა წარმოსთქვა, მოსკოვმა გადასწყვიტა კოლჩაკთან ბრძოლა ბოლომდის მიიყვანოს. წითელმა პეტროგრადმა. მისმა მაგალითმა და წარსულში, მისმა გამოცდილებამ აქ დიდი როლი ითამაშა. ჩვენ ეხლა ერთი ერთეული ვართ ერთი საბჭოთა რუსეთი, ჩვენ გვწამს, რომ იმ მომენტში, როცა ჩვენი ძალა იზრდება, ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. „მუშებო. წითელ-ჯარისკაცებო, მუშა-ქალებო და მშრომელო ხალხო! წითელ პეტროგრადს საფრთხე მოელის. ფინეთის თეთრგვარდიელებს სურთ აიღონ ჩვენი ქალაქი... (გამოტოვებულია).

**ბუდაპეშტი**, მაისის 3. ბუდაპეშტის საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ბელაკუნმა სთქვა, რომ სამხედრო მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ ის არ ჰკარგავს იმედს, რადგან კაპიტალიზმის საშიშროება აიძულებს პროლეტარიატს თავისუფლება ეძიონ. მან განაცხადა, რომ ბუდაპეშტში იმდენი იარაღია, რომ 15 ბატალიონის შეიარაღება შეიძლებაო. იმის კითხვაზე, ასეთ პირობებში უნდა იბრძოლონ თუ არა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე პროლეტარიატის დიქტატურისთვის, ყრილობამ აღფრთოვანებით უპასუხა. „ბრძოლა. ბრძოლა".

საგარეო პოლიტიკის შესახებ ბელაკუნმა სთქვა: თუ მოკავშირეებს ჰსურთ გაგვანადგურონ და ჩვენს ქვეყანაში ჩაახრჩო ბოლშევიზმი, დაე, სცადონ, ეს. მე იმედი მაქვს, რომ შესაძლებელია ისეთი ზავი, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას მოგვცემს. სახალხო კომისარმა ვენისვენმა გვაუწყა, რომ რუმინელები სლონოკიდან წინ მიიწევენ, მაგრამ მთავრობა მათ ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს ბოლოს ბელაკუნმა სთქვა: „მე არავითარ შემთხვევაში არ მოვისურვებ, რომ საბჭოთა ბუდაპეშტის დაცვაზე უარი ვსთქვა. ჩვენი ფრონტი ბუდაპეშტში კი არა, მდ. ტისაზეა, ჩვენ სურათი და იარაღი საკმაოთ გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ რუმინელებთან საბჭოთა ჰუნგრეთის უზრუნველსაყოფად და საპატიო ზავის მოსაპოებლად.

**ბუდაპეშტი.** მაისის 4. მუშათა საბჭოთა გუშინდელი დადგენილება დიდის აღფრთოვანებით მიიღეს. მუშებმა მოაწყვეს მიტინგები, რომელზედაც შეიარაღება და ფრონტზე წასვლა გადასწყვიტეს.

მიუხედავათ იმისა, რომ წინადადება იყო მოხდეს მობილიზაცია 18—45 წლ. მუშებმა გადასწყვიტეს, კომუნისტური წესრიგის დასაცავათ გაწვიონ 50 წლამდე. მრავალ ქარხნებიდან მუშები პირდაპირ ყაზარმებისაკენ გაემართენ, სადაც იარაღი მიიღეს

**კიევი.** მაისის 4. უკრაინის რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო გამტკიცდა. საბჭოში შედიან: სახალხო კომისართა თავმჯდომარე საკოვსკი, სამხედრო საქმეთა კომისარი პოდოისკი და ც. კ. ა. წარმომადგენლები.

**კიევი.** მაისის 3. უკრაინის სამხედრო ცნობა. წითელმა ჯარმა შეპეტოვკა დაიჭირა. მოწინააღმდეგე თავგანწირულად იბრძოდა. შეპეტოვკის სამხრეთით ჩვენ რამოდენიმე დაბა დავიჭირეთ. რკინის გზის მოსამსახურეთა სიტყვით პეტლიურა და დირექტორიის სხვა წევრები როვნოში დაატყვევეს, მაგრამ გაიქცნენ. როვნოში პეტლიურას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლაა.

**კიევი.** მაისის 4. უცხოელთა ოლქებს, რომელთაც არ მიუღიათ თავის მთავრობისაგან პასუხი, ან კიდევ უარყოფითი პასუხი მიიღეს უკრაინის საბჭოთა მთავრობის აღიარებაზე წინადადება მისცეს ელჩებს 8 დღის განმავლობაში უკრაინა დასტოვონ.

**ბუდაპეშტი.** მაის. 5. ბუდაპეშტის საბჭოს რევოლუციონურმა გადაწყვეტილებამ აღფრთოვანებაში მოიყვანა ფრონტის ჯარი, რომელმაც ნამდვილი პროლეტარულ აღფრთოვანებით დაიწყო შეტევა: მკაცრი ბრძოლის შემდეგ ქალაქი სოლნო უკანვე დავიბრუნეთ, მოწინააღმდეგე უკუ ვაქციეთ მდ. ტისას იქითა მხარეზე. პროლეტარიატის ჯარმა ახალი პოზიცია დაიჭირა. ხელთ ჩაიგდო 5 ზარბაზანი, ბევრი ტყვიისმფრქვეველი და ბევრი ტყვე წამოიყვანეს. ფრონტიდან მოსულმა სასიამოვნო ცნობამ აღფრთოვანება გამოიწვია ბუდაპეშტში, სადაც მუშების ბატალიონები სასწრაფოთ სდგება და ფრონტზე იგზავნება.

**ლიონი**, მაის. 4. ციურიხიდან მოსულ ცნობით, მიუხედავად აკრძალვისა, გერმანიის მრავალ კაპიტალისტებს, განსაკუთრებით კი ვინც ომის დროს გამდიდრდა, ფული საზღვარ-გარედ გააქვთ. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში 35 მილიარდი მარკაა გატანილი შვეიცარიის სხვა და სხვა ბანკებში.

**პარიზი.** მაის. 4. ამერიკის ფინანსიური დელეგატმა უარჰყვეს ინგლისელების გეგმა გერმანიის ბონების ამერიკაში განაღდებისა. ამერიკის დელეგატმა განაცხადეს, რომ ამერიკა ევროპას დახმარებას აღმოუჩენს სესხების სახით.

**მოსკოვი.** მაის. 4. გუშინ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა რადიო რომელშიაც სთხოვს, შეატყობინოს სად იმყოფება ამ ჟამად საფრანგეთის გემი სამშობლოში დასაბრუნებელ რუსეთის მოქალაქეებით. ჩიჩერინი მოითხოვს ეხლავე აცნობოს ყოველივე დაბრკოლებები მათ სამშობლოში დასაბრუნებლად.

**ნაუენი.** მაის. 4. ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის სხდომაზე რენოდელმა სთქვა რომ მისი სურვილი იქნებოდა, გერმანიას არ მიეღო ზავის პირობები, რომელიც ერთობ მძიმეა.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანია ავსტრიის გაერთიანება**

ციურიხიდან „ჟურნალი" იტყობინება:

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მთავრობის წევრებს და პარტიათა ლიდერებს გერმანია-ავსტრიის გაერთიანების შესახებ მოხსენება წარუდგინა.

ავსტრიელები პრინციპიალურად თანახმანი არიან ამ გაერთიანებაზე. ახლო მომავალში კი გაიმართება მოლაპარაკება ფინანსიურ, რკინის გზის, საბაჟოების და ეკონომიურ საკითხების მოსაგვარებლათ კრებები გაიმართება რიგ-რიგით ხან ბერლინში და ხან ვენაში.

**კოლჩაკის მიზანი.**

ადმირალმა კოლჩაკმა მოწოდება გამოუშვა, რომელშიც ამბობს რომ მისი საბოლოო მიზანი მოსკოვის აღება.

**მემარცხენე ესერები.**

ხარკოვიდან იტყობინებიან რომ საბჭოთა მთავრობამ დაატყვევა რამოდენიმე ესერი რომელიც გლეხებში საბჭოთა საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელებას აპირებდნენ.

**ხმები კოსტრომაზე.**

ნოვოროსიისკიდან იტყობინებიან რომ ადმირ. კოლჩაკმა ქ. კოსტრომა აიღოო. კოლჩაკს მრავალი ტყვე და დავლა დარჩენია.

## „შევარდენთა" საღამო.

(შთაბეჭდილებანი).

აპრილის 28-ს, შევარდენთა საღამოს დავესწარი. საერთოდ მე სპორტის თაყვანისმცემელი არა ვარ რადგან ჩემს შთაბეჭდილებაში მუდამ შეჯიბრებად ისახება.

შემდეგ მქონდა მენახა სპორტის სხვა და სხვა დარგი და ხელოვნებას ბარ რო ვეძებდი მასში. თითქმის ვერ შევხედე.

უპირველესად ხელოვანი დამოუკიდებელი უნდა იყოს, სხეულთან შეჯიბრება დამოკიდებულებას კი ჰნიშნავს.

ოცი წლის წინად ინგლისში მიმავალმა მადრიდში ჩავიარე. გამოჩენილ ტორეადორის ლაგრის გასტროლები იყო. კაცი და ხარი ერთმანეთს უნდა შეტაკებოდნენ

რამდენადაც დარბაზი მომეწონა, იმდენად ადამიანის ხართან ბრძოლამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. უხეში განცდა, ადამიანის ველურობის ხანის მოგონება ვნახე. ადამიანისა და პირუტყვის ხანის შეპაოდრი. ბოლომდე ვერ დავრჩი. ცირკი აღელვებული ხალხით მივატოვე შემეცოდნენ ევროპიელები.

ოცის წინ ლონდონში ვცხოვრობდი. დავეთოდი ინგლისურ საზოგადოებას და მათ გასართობ ადგილებში.

ბევრჯელ მინახავს ლონდონის ქუჩებში ჯობ აწეული პოლიციელი, რომელიც ყოველგვარ მოძრაობას აჩერებდა ხმა მაღლა ჰყვიროდა: „შეჩერდით სპორტსმენტი მორბის". ამ დროს მოკლე შალვრებში მალე-მსრბოლნი ერთი ერთმანეთზე გადაირბენდნენ ქუჩას... ამ სირბილში შეჯიბრება იყო ალბად.

არ დამავიწყდება არას დროს ინგლისური (ბოქსი) კრივი ბუმბერაზ ზანგ ჯემს ჯონგსტინრა, და უელსის შორის... შავ კანიანმა თეთრსა სძლია და ამით აამხედრა მთელი ინგლისი ზანგებზე არც ეს იყო ესთეტიური სპორტი, მასში არ იყო სილამაზე და ოსკარ უაილის ქვეყანა სიტლანქისათვის დავიწუნე...

თბილისში ჩამოსვლისთანავე აპრილის 28-ს ქართველ შევარდენთა საღამოს დავესწარ, ეს ერთად-ერთი საღამო იყო რომელმაც სპორტი შემაყვარა.

საზოგადოდ სპორტი, როგორც გასართობი არ მიყვარდა. მისი მხოლოდ სარგებლიანობა მომწონდა. დარწმუნებულიცა ვარ, რომ მრავალს ჰგონია ვითომც მუშაითობა (ან ტან-ვარჯიშობა, როგორც თვით „შევარდნები" ხმარობდა) მხოლოდ საშუალებაა, იგი ზოგს ჯანმრთელობად და ზოგს მოქნილობად მიაჩნია. მე კი, სამუშაითო საღამოს ნახვის შემდეგ თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ მუშაითობა არაფრის საშუალება არ არის, ის თვითმიზანია და იგი ხელოვნებაა.

აქაც არის რიტმი, აქაც არის სტილი უსტილო მუშაითის, როგორც პოეტს, საზოგადოება არ აფასებს.

ამ საღამოთი ჩემ წინ აღსდგა ის მშვენიერი სურათები, რომლის წარმოდგენაც არ შემეძლო. ვნახე ძველი ელლადის გმირები და თავს ძველ ელლადის ცირკში ვგრძნობდი... სახელმწიფო თეატრის მუდამ მორცხვი დარბაზი, ძველი საბერძნეთის სალაყბოს მოგაგონებდათ. ყვირილი, ტაში, გრიალი, ყველაფერი ჰმოწმობდა, რომ სცენაზე მოთამაშე მუშაითებთან ერთად მთელი ხალხიც განიცდიდა იმ ნერვიულ დაძაგვრას, რომელიც საერთოდ მოჯიბრეებს ჰსჩვევიათ.

არ მინდა რომ გაზეთის ფურცლებზე გადმოვცე საზოგადოებას იმ შვენიერ სასახაობის სურათი, რადგან მისი სიტყვებით დახატვა მას ფერსა და იერს დაუკარგავდა. ვისაც უნდა სრული ძლიერებით განიცადოს იგი თვით უნდა ჰნახოს უეჭველად.

მე მხოლოდ ვუსურვებდი რომ ასეთი საზოგადოებანი ბევრი ყოფილიყოს საქართველოში.

მეტად სასიამოვნო იქნებოდა რომ „შევარდენს" ასეთი ისტორიული საღამოები რამდენჯერმე მაინც გაემეორებინოს ჩვენში სილამაზის კულტი ძალიან დაცემულია და მას გაწვრთნა სჭირია.

ექ. პროკოფიევი..

## მოხალისეთა ჯარი

(წერ. საკ. კორესპონ.)

მოხალისეთა ჯარის შეკრება თავმოყრა ყუბანში დაიწყო. გენ. კორნილოვთან 1917 წ. სიხარულით მოდიოდენ რუსეთის გაბოლშევიკებულ ჯარის პატივის მოყვარე ოფიცრები და დიდ რუსეთის მხნელ ბატალიონებში ეწერებოდენ.

კორნილოვთან მოგროვდა აგრეთვე კავკასიის ფრონტის ოფიცრობა, რომელთაც რევოლუციამ პატივი მოაკლო და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობამ „სალიკვიდაციოს მიცემით" „მიბძანება მოსთხოვა".

ცნობილია, რომ 1917 წ. რუსეთის დროებით მთავრობის თავმჯდომარე კერენსკი დიდ იმედს ამყარებდა კორნილოვზე, განსაცდელის ჟამს იგი თავის ჯარით კიდეც იხმო პეტრეს ქალაქს მაგრამ შემდგომ მეამბოხეთ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა კორნილოვის დატუსაღება და სიკვდილით დასჯა კორნილოვის მემკვიდრედ გამოვიდა გენ. კალედინი, რომელსაც ჯარში დიდი პოპულიარობა ჰქონდა და ოფიცრობა ენდობოდა, კალედინის დროს ყუბანი დონთან ერთად გამოეყო ლენინის წითელ კომუნისტურ სახელმწიფოს და ამიერ კავკასიის მსგავსად ცალკე ცხოვრება იწყო. კალედინმა მოხალისეთა ჯარი საგრძნობლად გააძლიერა და ეს ჯარი ამ დღიდან იწყებს თერგის დაპყრობას და უკრაინაში შეჭრას. მინერალ წყლებში ბოლშევიკებმა 1918 წ. დიდი ზიანი მიაყენა მოხალისეთა ჯარის მე 8 კორპუსს ეს კორპუსი თითქმის მთლად განადგურდა, მაშინ კალედინს სულ კორპუს ნახევარი ჯარი ჰყავდა, მინერალ წყლებში დამარცხებამ მომაკვდინებელი გავლენა იქონია კალედინზე და მან თავი მოიკლა. კალედინის მეორე მოხალისეთა ჯარს ხელმძღვანელობდა გენ. ალექსეევი.

ალექსეევის დროს მოხალისეთა ჯარმა საამჯაროზე გამოიტანა თავისი ნამდვილი სულის კვეთება, მათ გამოსცეს გაზ. „როსია“ რომელიც შეუდგა მეცნიერულად იმის მტკიცებას, რომ სახელმწიფოს სამართავი სისტემად ყველაზე უმჯობესია განუსაზღვრელი მონარქია. ალექსეევი მოხალისეთა ჯარს სრულიად რუსეთის კანონიერ მემკვიდრეთ სთვლიდა... გენ. მაზნიაშვილის წინსვლის დროს მომხდარი ინციდენტი, ჩვენების მიერ ტუაპსეს დათმობა და მოხალისეთა ჯარის პრეტენზიები სოჭის ოლქზე 1918 წ. ოქტომბერში ალექსიევის საქმე იყო.

ყუბანის დემოკრატიული მთავრობა გვიან მიხვდა, თუ როგორ ხიფათში ჩავარდა მოხალისეთა ჯარის გაძლიერებისთვის ხელის შეწყობისათვის.

ალექსეევი სამოქალაქო საქმეებში ჩაერია და ქვეყნის საჭეთ მპყრობელი გახდა.

ამიერიდან ყუბან-დონის ბედ-იღბლის მატრიალებლად სთვლიან მოხალისეთა ჯარს. ყუბანის მთავრობა გარიყული დარჩა.

მოხალისეთა ჯარი ოცნებით იყო მთვრალი, განუყოფელ რუსეთის და უფრო ოფიცრულ პატივის საყოველთაოდ აღდგენა სულ მოკლე ხნის საქმე ეგონა.

შარშან ოქტომბერში, საქართველოსთან მოლაპარაკების დროს, ალექსეევს პრემიერ ბიჩთან უთანხმოება მოუვიდა და მოკვდა.

ამ დღიდან იწყება მოხალისეთა ჯარის კრიზისი, ოფიცრები დეზერტირობენ და ბრძოლის ველზეც მოხალისეთა ჯარი ყველგან დამარცხებას განიცდის.

დღევანდელი წინამძღოლი მოხალისეთა ჯარისა დენიკინი შარშან დეკემბერში ჯარს ჰეზავნის უკრაინის გეტმანის დასახმარებლად, რომელიც მთლიან განუყოფელ რუსეთის ღმერთზე ლოცულობდა. ეს ჯარი პეტლიურამ მოსპო, ოფიცრების ნაწილს პოგონები აყარა და სადილის მხარშევლებად განაწესა უკრაინულ ნაწილებში.

უკრაინის გაზეთები სწერდენ, რომ ეს მარცხი დამწყები და დამბოლოვებელი იქნება მოხალისეთა ჯარის დაშლისა.

მაგრამ ამ დროს დენიკინმა მოახერხა, ყუბანის ყაზახების მომხრობა, რომელთაც დაამარცხებია ბოლშევიკები მინერალ წყლებში და ჯილდოთ აჰუქა ბოლშევიკების ხაზინა.

ყაზახებმა გამოაცოცხლეს მომაკვდავი მოხალისეთა ჯარი და ამას ზედ დაერთო ფრანგების ორპოფობა, რომელთაც ოდესა უომრად გადასცეს მოხალისეთა ჯარს და გააქარწყლეს თავის პირობა უკრაინასთან, რომლის ჯარს უკვე დაკავებული ჰქონდა ოდესა და უკრაინის მთავრობას (პეტლიურას სახით) ფრანგები არწმუნებდენ, რომ ოდესა თქვენი რესპუბლიკის საზღვრებში დარჩებაო.

გარდა ამისა ინგლისელების და საზოგადოდ მოკავშირეთა დახმარებანი, რაც დღემდის ფართეთ ხდებოდა აცოცხლებენ მოხალისეთა ჯარს. დენიკინმა კვლავ დაიწყო ყოყოჩობა, განსაკუთრებით გააძლიერა ქართველების დევნა და უკბილო იმპერია ლ იზმი ჩვენსკენ.

კრასნოვი მარჯვენა ხელი იყო დენიკინის, რომელსაც დონის ასპარეზზე ბოლშევიკებთან ომის მეთაურობა მიანდვეს.

კრასნოვი ნიჭიერ და გამოცდილ ატამანად ითვლებოდა... მაგრამ დონის ასპარეზზე იგი სასტიკად დამარცხდა, მარტო ერთ ღამეს მას ასპარეზიდან 1000 ოფიცერი გაექცა და ქ. ტაგანროგში ქუჩების ტკეპნა იწყო. კრასნოვი გაიქცა, მდგომარეობა უნუგეშოთ ჩასთვალა და მის წასვლას ისეთივე პროვიდენციალ მოვლენად სთვლიან, როგორც შარშან კალედინის თვითმკვლელობას.

დენიკინი ლამობდა ყუბან-დონის ყაზახობაში ძველი რომანტიზმი აღედგინა, მაგრამ ამის ნაცვლად მიიღო ის, რომ დონის ყაზახობამ ნეიტრალობა გამოაცხადა, ხოლო ყუბანის ყაზახობამ დაადგინა: ეომოს მხოლოდ ბოლშევიზმს, რაც შეეხება მხოლოდ პატარა ერებს, მათ წინააღმდეგ ერთი თოფიც არ გაისროლოს, ამავე დროს რომანტიზმი გაჰქრა ოფიცრებშიც.

დღეს დენიკინს დაკარგული აქვს ოდესა და მასთან მთელი თავრიდი — ყირიმით, დენიკინს ებრძვის და სასტიკად ამარცხებს საბჭოთა ჯარი უკრაინიდან, ეომებიან აგრეთვე მთიელები. (ინგუშები) იმ თავიდანვე მოხალისეთა ჯარის მთავარი ძალა ეს ოფიცრობა იყო, რომელიც მოიღალა და დაიხოცა.

ამ ჟამად ეს ოფიცრობა ყაზახებთან ერთად მძარცველთა ბრბოთ იქცა, ესენი საუცხოვოდ სძარცვავენ სოფლებს და ქალაქებს.

გენ. ერისთავის სიტყვით ამ ბოლო დროს დენიკინის ჯარი 100.000 უდრიდა, ხოლო ამაში საიმედო 60,000 თუ იქნებოდა.

უკანასკნელად დენიკინმა საყოველთაო მობილიზაციით განიზრახა ჯარის შევსება, მაგრამ ამ საქმეში საშინელი კრახი განიცადა.

18 წ. 45 წ. გამოცხადებულ მობილიზაციით ვისაც კი მოუყარეს ნაწილებში თავი, ყველა ბოლშევიკი გამოდგა, რომლებიც მთელ პოლკებად გადადიან საბჭოთა მხარეზე.

ჯარში დისციპლინა მოკვდა, ყაზახებმა 1919 წ. მარტის 29-ს როსტოვის მახლობლად ასი ოფიცერი დაატუსაღეს და პოგონები აჰყარეს. ყაზახები არაფერს უჯერებენ ოფიცრებს. თვითნება გახდენ ოფიცრებიც, ფულის მიღების მერე საომარ ასპარეზიდან იპარებიან და სხვა და სხვა ქალაქებში სეირნობენ.

დენიკინთან ბლომად იყვენ აგრეთვე ქართველი და სომეხი ოფიცრებიც, რომელთაც ნება მისცეს მოხალისეთა ჯარიდან წასვლისა. ყველაზე საღი და მამაცი ნაწილი მოხალისეთა ჯარში ეს არტილერია და კავალერიაა, ქვეითა ჯარი სრულებით არა ჰყავთ.

ეს კრიზისი მოხალისეთა ჯარისთვის უკანასკნელი და ბოლოს მომღები უნდა იქნეს.

მოხალისეთა ჯარი ირგვლივ მტერთაგან გარშემორტყმული მომწყვდეულია.

წინიდან ბოლშევიკები ურტყამენ, გვერდიდან მთიელები, ხოლო ზურგიდან ქართველები...

ახლა ჯერი დენიკინზეა, ის ან უნდა გაიქცეს ან და ჩუმად კალედინის მსგავსად თავი მოიკლას.

ირ. დიდიძე.

## მკითხველთან საუბარი
(დასასრული).

დროა თავი დავანებოთ ერთი მეორეზე წაქეზებას, ამის მაგივრად ერთი მეორეს ძმური აღთქმა მივცეთ და საზოგადო საქმეში ერთსულოვანი ვიყვეთ. კმარა შურის ძიება. ქართლის თავად-აზნაურობას რაც მოუვიდა, ისიც კმარა კურთხეულ საქართველოში, რომელსაც მეზობლებიც და არა მეზობლებიც ევროპაში სახელს უტეხენ, მშვენივრად გრძნობენ თავს მტრებიც და მათი ლტოლვილნიც. ამავე დროს ნუ დაიზარებთ და დაიარეთ თბილისის განაპირა ადგილები და თქვენ შეხვდებით ლტოლვილ აზნაურებს რომელნიც ღვთის ანაბარა ცხოვრობენ, დაავადებულან და უპატრონოდ იხოცებიან. მათი ინტელიგენტური სახე, დარბაისლური ქართული ლაპარაკი და ამავე დროს ძონძებში ჩაცმულობა თქვენ გაკვირვებს და ამ გაკვირვებას ბოლოს რაღაც სევდაც ემატება როდესაც გაიგებთ, რომ ისინი ქართლიდან გამოქცეული ლტოლვილნი არიან და სრულიად გაღატაკებულნი შიშით ვერ ბედავენ თავის აოხრებულ კერას დაუბრუნდნენ. ვერ შევიგენით კიდევ, რომ თუ თავად-აზნაურობამ წარსულში ბევრი დანაშაული ჩაიდინა, ბევრი კარგიც გაგვიკეთა. სხვა რომ არა იყოს რა, თავად-აზნაურობა იყო ჩვენში კულტურის მატარებელი, მან მოგვცა მრავალი დიდებული პიროვნება. სხვებზე არას ვიტყვი. ჩემ წინ დევს ილიას თხზულება. „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობას ვათვალიერებ და ყოველი სტრიქონის წაკითხვაზე ილიას სახე მეხატება თანასწორათ ევროპიულ დიდებულ მწერლებთან. ერთად ერთი მნიშვნელოვანი თვისება დიდებული მწერლობისა ჩვეულებრივი მკითხველისათვისაც მასში გამოიხატება, რომ რამდენჯერ მეტს კითხულობ მათ, უფრო და უფრო გიცხოველდება წაკითხვის ინტერესი. ჩემთვის მუდამ სახალისოა სერვანტესის „დონკიხოტ ლამანჩელის“ მრავალჯერ წაკითხვა, აგრეთვე გეტესი, ბაირონის. ასეთ მუდამ ახალი და წარმტაცია ილიას „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი“, „განდეგილი“ და სხვები.

ეჰ, მკითხველო! რამდენი მარგალიტია დაფანტული ილიას ნაწერებში და ჩვენ აღზრდის დროს ამ მშვენიერების და ფილოსოფიურ აზრების შესწავლის და შეთვისებას მოკლებული ვიყავით, წყევლა კრულვის ღირსია ყოფილი უკუღმართი რუსეთის მთავრობა, რომელიც ასე ვერაგულად გვიძნელავდა სამშობლო ენის შესწავლას. მხოლოდ ჩვენი მწერლობის სრული უცოდინარობით აიხსნება ის ყოვლად შეუწყნარებელი პროპაგანდა, რომელიც ამ 25 წლის წინად ჩვენს სამშობლოში, მეტადრედ დასავლეთ საქართველოში გაჩაღდა და რომელიც ასე უაზროდ და უსაფუძვლოდ უარყოფდა კაზმულ ლიტერატურას და აძულებდა ხალხს ილიას, აკაკის. ამ გვარმა მიმართულებამ სამწუხარო ბოლომდისაც მიგვიყვანა. სწორედ ილიას სრული უცოდინარობა, მისი აბუჩად აგდება იყო მიზეზი, რომ იგი ასე ვერაგულად მოგვიკლეს. ილია კი იმდენად დიდებული პოეტი ფილოსოფოსია, რომ მისი დაფასება მხოლოდ მასზე აღზრდილ ახალთაობას შეუძლია. მხოლოდ ეხლა ვიტყვი, რომ ილიას ერთი რომელიმე ნაწარმოებსაც კი შეეძლო გამოესყიდა ის დანაშაულობა, რომელიც ჩვენი თავად-აზნაურობას ჩაუდენია ხალხის წინაშე განა არ ვიცით, რომ თავადაზნაურობამ, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, პირნათლად ვერ შეასრულა თვისი მოვალეობა უმცროსი ძმის, ქართველი გლეხის წინაშე. სიბნელეში მყოფი ჩვენი გლეხობა უფრო დააბეჩავა მან და ამავე დროს საქართველოს მტრებიც ბლომად გააჩინა უცხო ხალხის, ოსების და სომხების შემოხიზნვით, მაგრამ დღეს თვითონაც თავისი შეცდომების შედეგი საკმარისად იგემა, თავი იწამა და ეხლა კიდევ მასზედ ჯავრის ყრა და მისი დედამიწის ზურგისაგან სავსებით აღმოფხვრა ცოდვაზე, მეტზე მეტია. ეს დიდი უსამართლობაა, არც შეჰფერის ეს რევოლიუციას, რომელიც გვიდაღდებს ძმობას, თანასწორობას და თავისუფლებას და სისხლისაგან დასცლის საქართველოთვის, რომლის გამრავლება აგერ მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული, ეს რაღაც საბედისწეროა, და თავადაზნაურობა ხომ კულტურის მატარებელი იყო და არის დღესაც და ეს მომავალშიაც სარგებლობას მოგვიტანდა. გაზეთ „საქართველოს“ მკითხველი წაიკითხავდა ამ წლის მე-70 ნომერში მოთავსებულ ინგენის წერილს თარხნიანთ კონცერტის გამო. ესენი შესანიშნავი მომღერალნი ყოფილან, ორი მანდილოსანი, ოთხი ვაჟკაცი, სოფლიდან თბილისში გადმოხიზნულნი. ბევრ თავად-აზნაურობის ოჯახში დარჩენილა საყვარადლებო ტრადიციები, მემკვიდრეობით გადმოცემული ნიჭი, რომელიც ვინ იცის, მომავალში რანაირად განსახიერდება და ჩვენში კი კაცი ჰამიებს უსისინებენ: „დაჰკათ მაგათ. თავად-აზნაურებს ხელმწიფე უნდათო“. პირდაპირ რაღაც გაუგებარი ჯავრის ამოყრაა. ზ. ი. გომართელის მაღალ საგნებზედ მსჯელობას ვერ გაუტაცებივარ, სამაგიეროდ იგი მდაბიო წერილების წერაში შეუდარებელია. იგი იმ კუთხის შვილია რომელმაც მოგვცა დიდებული აკაკი, გრ. აბაშიძე, მისი ენა მეტად მსუბუქია, სავსებით ეპატრონება მეტადრე დაბალ ხალხის ყურადღებას. ადვილად იკვლევს გზას მისი გულისაკენ: ესე იგი ი. გომართელი მშვენიერი პოპილიარიზატორი და პროპაგანდისტია, მაგრამ ეს ნიჭი საბედისწეროა, თუ იგი სამართლიანად არ იქმნა მოხმარებული და საზღვარს გადასცილდა. განა უფლება ახდილი თავად აზნაურობა რითიმე საშიშოა? სრულებითაც არა.

რა კარგი საქმე იქმნებოდა, რომ ი. გომართელს ეს უფლება აყრილი და აწიოკებული წოდება დაემშვიდებინა და გაემხნევებინა, რათა მასში მემკვიდრეობითი მოგროვილი პოტენციალური ძალა მომავალში საქართველოს საკეთილდღეოდ ყოფილიყო მოხმარებული! რა კარგი საქმე იქნებოდა, რომ ზ. ი. გომართელის ტკბილ ენას ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის უგუნური მტრების გულისაკენ გაეკაფა გზა და შეეგნებინა მათთვის მათი ყოვლად მიუტევებელი უკუღმართი მოქმედება: ცარცვა-გლეჯა, ქურდობა და მკვლელობა. დროა შევიგნოთ მთელი ჩვენი არსებითი, დიდმა და პატარამ, რომ ჩვენ დათიშვა კი არა, მტკიცე კავშირი, ძმურათ შეკავშირება გვესაჭიროება. ეს გვესაჭიროება მეტადრე დღეს, როდესაც ყველა ჩვენ გადაგვკიდებია. შინაური ცხოვრება მეტად აირია. ყაჩაღების თარეშიც ქალაქში და სოფლად ლამის თავს უბრუნებს მცხოვრებლებს და გარეშე მტერზე არა ნაკლებათ ღამობს საქართველოს დაღუპვას და აი რა არის საგულისხმიერო, აი რისთვის გვესაჭიროება ყველა ძალების მობილიზაცია და არა მათი გაოიშვა, განცალკევება.

ა. ვაშაკიძე.

## კორესპონდენცია

### ქ. სიღნაღი.

აპრილის 28-ს, სიღნაღში მაზრის მომრიგებელ მოსამართლეების პირველი ყრილობა გაიხსნა. ყრილობა გახსნა თავმჯდომარემ შალვა ტატიშვილმა, რომელმაც მოკლე სიტყვით, მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას, გააცნო მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის დაარსების ისტორია, მისი დანიშნულება მართლმსაჯულების საქმეში და აღნიშნა, რომ მისი სავსებით განხორციელება და ცხოვრებაში გატარება ჩვენში მოითხოვს დიდ შრომას და ენერგიას იმ პირთაგან, რომელთაც ხალხმა თავისის ნდობით ჩააბარა მართლმსაჯულების წარმოება მაზრაში. თავმჯდომარემ აღნიშნა აგრეთვე რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში ფაქტიურად სავსებით განხორციელდა ჯერ ჯერობით სიღნაღის მაზრაში და რომ ამ ყრილობის პირველი დღევანდელი სასამართლოს სხდომა გაიხსნა აქ, სიღნაღის მაზრაში. ამას თავის-თავად ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მართლმსაჯულების და უფლების ისტორიაში და ამიტომ, წინადადება მისცა ყრილობას და დამსწრე საზოგადოებას, ამ სადღესასწაულო დღის აღსანიშნავად მილოცვის დეპეშა გაჰგზავნ და მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს. ეს წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.

შემდეგ ამისა შეკრებილი მოსამართლენი შეუდგნენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სააპელაციო საქმეთა განხილვას.

ყრილობამ სამს დღეს გასტანა.

დამსწრე.

### დ. საჩხერე.

**საზიზღარი მკვლელობა ს. სავანეში.**

სოფ. სავანის მცხოვრებმა, 70 წლის მოხუცმა ეფ. აბაშიძემ თავისი ძმისწულის დახმარებით მოკლა თავისი სიძე ვ. ლაშხი 25 ამ თვეს, ხანჯლით ჯერ ტვინი დაანთხევინა, მერე ყელი გამოსჭრა, მარჯვენა ხელი მოჰჭრა და ზედ სასიმინდე ძარი მიაფარა.

საქმის შინაარსი ჯერ კიდევ გამოურკვეველია ადმინისტრაციისაგან, მაგრამ როგორც მეზობლები გადმოგვცემენ შემდეგში გამოიხატება: მოკლულ ვ. ლაშხს, როდესაც წარსულ თებერვალში მკვლელის ქალზე ჯვარი დაუწერნია ზე სიძედ შესულა და თანაც 11000 მანეთამდე ფული მოუტანია ამ ოჯახში. ოჯახი გაუმშვენიერებია საქონლისა თუ ოჯახის ავეჯეულების შეძენით სოფლის კვალობაზე ანგარიშის მოყვარულ ბოროტ მოხუც სიმამრს ე ა—ძეს ამ ყმაწვილისაგან ეს უნდოდა თორემ მის ქალს უფრო ახლო მეზობელს თავის მგზავს ბოროტს აძლევ და. ამ ნიადაგზე დაბადებია ბოროტი განზრახვაც და 25 აპრილს საღამოთ მიუწვევია წინანდელი სასიძო, თავისი ძმისწული გ. ა—ძე და ლაშხთან ერთად თავის სახლში ვახშამი გაუმართია. შემდეგ მომავალი სასიძო გაუძრახებია „გავიპატიჟოთ შენსას და ადიდებულ მდ. ყვირილაში გადავაგდოთო“, რასაც ადვილად მოინამუსებდნენ. ლაშხს უარი უთქვამს, მაგრამ დაუყოლიებათ და შუა გზიდან სახლში დაბრუნებულა, სადაც ბოროტ-გამძრახველებს ოავისი აუსრულებიათ. რომ შესულა მოხუცი აბ—ძე თავის ოჯახში, მიუმართავს ქალიშვილისათვის „ახლა შვილო, მაკოცე ხელზედ, შენი ქმარი აღარ არის და ვისთვინაც გვინდოდი იმას თავისუფლად გაყვებიო“. ამის გამგონე მოხუც დედას, რომელსაც არა სცოდნია რა მოურიავს კივილი, რაზედ შეყრილან მეზობლები, მაგრამ გამხეცებულ აბაში ძეს იგინი სახლში არ შეუშვია და მეორე დღეს კი ყველაფერი აშკარა შეიქნა.

ამ ფაქტს მეზობლები სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ და არც შეიძლება ჩადენილ ბოროტებას სხვა სარჩული ქონდეს, რადგან ვიცით მოკლულის სიწყნარე, მისი შრომა კეთილშობილური ქცევა და ამ ოჯახში მისი კეთილი განწყობილება.

მკვლელ აბაშიძეს ასეთ სიმხეცის ჩამდენ კაცად საზოგადოება არ იცნობდა და გვიკვირს—რამ აიძულა. იმედია დ. საჩხერის რაიონის კომისარი ბ ფ—ვა საქმეს ფრთხილი გამოკვლევით ყველაფერს გამოაშკარავებს.— ამ საგანზე გამომძიებელი ბ-ნი ხარაიძე ჭიათურიდან მოიწვიეს დეპეშით და გამოძიებაც დაიწყო.

გ. ქ—ძე.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აუწყებს პატივცემულ წევრთ აღნიშნულ საზოგადოებისას, რომ ამა წლის მაისის 11-ს დილით, კვირას 2 საათზე, ადგილობრივ ქალთა 2 კლასიან სასწავლებლის შენობაში დანიშნულია წევრთა

# წლიური საზოგადო კრება

რომელზედაც განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. გასული 1918 წლის ანგარიშის განხილვა—დამტკიცება და მოსაგების განაწილება. 2. ამა 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3. ერთი გამგეობის, ორი საბჭოს და სამი სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. 4. მიმდინარე კითხვები.

**ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა.**

2—58—2

# ამიერ-კავკასიის
# კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს, რომ

**22 მაისს, ქ. თბილისში შესდგება კოოპერატიული ყრილობა**

# საქართველოს კოოპერატივ ების

**და 25 მაისს, ქ. თბილისშივე შესდგება**

# ამიერ-კავკასიის

(საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა. ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, (მიხეილის პრ.) № 178 ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა საბჭო.**

3—53—3

## მატარებლების მიმოსვლა
11 თებერვლი ან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო სად. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.
მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.
მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.
მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**
**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.

საგარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

ე ქ ი მ ი

# ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

# გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვის და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1

7—52.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის**

# ალექსანდრე დავითის ძის
# ბეგელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

# ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონიო სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—48